24
მაისი
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 65 (1701)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო







## ახალი დარბაზი ფოთში

ძვირფასი საჩუქარი მიიღო ფოთის ახალგაზრდობამ. გაიხსნა ქალაქის ბავშვთა სპორტული სკოლის ახალი დარბაზი. ელნათურებით გაკაშკაშებულ სარბიელზე გამწკრივდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ჭიათურისა და ფოთის ქალთა და ვაჟთა გუნდები, რათა საზეიმოდ აღემართათ ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის ალამი კალათბურთში.

შეჯიბრებაში კონკურენციის გარეშე იყვნენ თბილისის კალათბურთელთა გუნდები. ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ვაჟთა გუნდმა დაამარცხა რუსთავის, ფოთისა და ქუთაისის გუნდები და დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი.

ქალთა შორისაც აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი 4 გამარჯვებით სავსებით დამსახურებულად გამოვიდა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ვაჟთა შორის ასე განაწილდა: თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ქალთა შორის: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი.

ა. ლომაია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სურათებზე: ახალი სპორტული დარბაზის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მომენტები. ტურნირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების გუნდები.

ფოტო რ. ლვამიჩავასი.

## ნ. მძინარიშვილის გამარჯვება

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ჭაბუკ ჩოგბურთელთა IV საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში სამი სპორტსმენი გამოდიოდა საქართველოდან — ნ. მძინარიშვილი, ა. მეტრეველი და ა. ბაქრაძე.

ა. ბაქრაძემ პირველსავე შეხვედრაში განიცადა დამარცხება ჩეხოსლოვაკელ მ. გოლეჩეკთან და გამოაკლდა ტურნირს. სამაგიეროდ, შეხვედრები კარგად ჩაატარეს ნ. მძინარიშვილმა და ა. მეტრეველმა, რომლებიც ძნელი ბრძოლის შემდეგ გავიდნენ ნახევარფინალში.

ნახევარფინალში კვლავ ისახელეს თავი ქართველმა ჩოგბურთელებმა. ნ. მძინარიშვილმა კარგად ითამაშა ვ. კოვაჩის წინააღმდეგ და სძლია მას — 6:3, 6:4, 6:3, ხოლო ა. მეტრეველმა დაამარცხა ვ. ბურკო. მეტრეველმა პირველი პარტია წააგო — 6:8, მაგრამ მოიგო მეორე — 6:1, მესამე — 6:3 და მეოთხე — 6:4 პარტიები და თანამემამულესთან ერთად გავიდა ფინალში.

ნ. მძინარიშვილსა და ა. მეტრეველის ფინალურ ბრძოლაში უპირატესობა პირველს დარჩა, რომელმაც მოიპოვა კიდეც უძლიერესის სახელი ჭაბუკთა შეჯიბრებაში.

ამ წარმატებით ნ. მძინარიშვილმა და ა. მეტრეველმა მოიპოვეს „გალეას" თასზე ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება.

## უჩვეულო მატჩი

სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა მატჩის შემდეგ, გასულ ორშაბათს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზში კვლავ შეიკრიბნენ ამ ორი ქვეყნის მოცურავეები, ტრიბუნებზეც ასობით მაყურებელმა დაიკავა ადგილი.

ცისფერი მოედნის ორივე მხარეს მოეწყვნენ მეტოქეები — ჩვენი ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა მატჩის მონაწილენი, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ძალები გამოეცადათ, ამჯერად წყალბურთში. თამაში სპორტულად საინტერესოდ და მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა და დამთავრდა ფრედ — 2:2.

დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა კანეირმა თავისი აღტაცება გამოთქვა საბჭოთა და ინგლისელ სპორტსმენთა შეხვედრის გამო. მან სთქვა, რომ ეს იყო უაღრესად მეგობრული და გულთბილი მატჩი. ჩემი აღზრდილები და რასაკვირველია, მეც, დიდად კმაყოფილნი ვართ შეჯიბრების არაჩვეულებრივი ორგანიზაციით, მატჩის მომწყობთა მუშაობით, რომელთა სურვილი იყო ორივე ქვეყნის სპორტსმენებს გამოევლინათ თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი.

—თქვენი ქვეყნის შესანიშნავ დედაქალაქიდან ჩვენ ჰოლანდიაში მივემგზავრებით, სადაც შევხვდებით ამ ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებს, — განაცხადა მან დასასრულს.

## „ბ" კლასში

ბაქო. 22 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ბაქოს „სპარტაკი" და ქუთაისის „ტორპედო".

მატჩი დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

* * *

სუმგაითი. 22 მაისი. ამავე ზონის გუნდები — „ტემპი" (სუმგაითი)-„მეტალურგი" (რუსთავი) შეხვდნენ ერთმანეთს სუმგაითის სტადიონზე.

თამაშის შედეგია 2:1 რუსთავის „მეტალურგის" სასარგებლოდ.

## ი. გაგარინის თვითმფრინავი — მუზეუმს

ქ. სარატოვის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები ათასობით მაყურებელმა აავსო. აქ დანიშნული იყო სპორტის ტექნიკურ სახეობებში საოლქო სპარტაკიადის გახსნა. სპარტაკიადის გახსნის ინტერესს ისიც აორკეცებდა, რომ სწორედ აქ სარატოვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის უნდა გადაეცათ პირველი კოსმონავტის, სსრ კავშირის გმირის ი. გაგარინის თვითმფრინავი, რომელსაც იგი მართავდა 1955 წელს სარატოვის აეროკლუბში სწავლის დროს.

ი. გაგარინის თვითმფრინავის ხაჰეს, რომლის ფიუზელაჟზე იყო წარწერა „ამ თვითმფრინავით სწავლობდა ფრენას 1955 წელს იური გაგარინი", მიუჯდა ჩვენი ქვეყნის 1960 წლის ჩემპიონი ავიოსპორტში ვ. კირილოვი.

## სპორტის ოსტატის შედეგი

სოხუმი. (ტელეფონით). აქ ჩატარდა საქალაქო შეჯიბრება მძლეოსნობაში. მე-2 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. წულუკიძემ შუბი ტყორცნა 73 მეტრსა და 28 სანტიმეტრზე და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

## როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში

ტალინში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა. პირადში ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა 22 წლის გროზნელმა ვ. სმოტრინამ, რომელმაც 58,2 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ლ. ნაზმუტდინოვა. მან გამარჯვებულთან წააგო 0,15 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო უკრაინის, ხოლო მესამე — მოსკოვის გუნდები.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

კოლორადოში (აშშ) გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა ჯორჯ დევისმა.

ჯ. დევისმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში, მან გადალახა 4 მეტრი და 83 სანტიმეტრი.

# სპორტული ბაზა ყოველთვის მზადყოფნაში, მოვლილი და მიმზიდველად გაფორმებული უნდა გვქონდეს!



СУРАТЗЕ — სურათზე: ასე გამოიყურება დღეს სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კალათბურთის ბაზა და წაქცეული ფარი.

## მოსწავლეთა სპარტაკიადები

### ჩოხატაური

ჩოხატაურის სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე გაიმართა რაიონის საშუალო სკოლების გუნდური პირველობა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჩოხატაურის I საშუალო სკოლის სპორტსმენთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ საჭამიასერის საშუალო სკოლის, ხოლო მესამეზე ხევის საშ. სკოლის მოსწავლე სპორტსმენები.

შეჯიბრებაზე მესამე სპორტული თანრიგის ნორმა შეასრულეს მოსწავლეებმა ნ. დევიძემ და თ. ჩხიკვაძემ (ჩოხატაურის პირველი სკოლა), მოზარდთა მეორე სპორტული თანრიგი ვ. მამალაძემ (პირველი სკოლა), ვ. მდინარაძემ (მეორე სკოლა), ვ. სიხარულიძემ (პირველი სკოლა), მ. გოგატაძემ (საჭამიასერის სკოლა), ც. ბურჭულაძემ, ზ. ხუნდაძემ (პირველი სკოლა) და სხვებმა.

### წითელწყარო

რაიონის სპორტკავშირმა მრავალი სპორტული ღონისძიება ჩაატარა. მათ შორის აღსანიშნავია მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა. 5 სახეობის ჯამში პირველი ადგილი დაიკავა ზემო ქედის სკოლის გუნდმა. პირად ჩათვლაში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ დ. ყოჩიაშვილი, თ. გულაშვილი, ვ. ბიკაშვილი და რ. პეტრიაშვილი. ჩატარდა აგრეთვე პირველობა ველორბოლაში დაბის პირველობაზე. 25 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვეს რუსული სკოლის მოსწავლეებმა. ფეხბურთში რაიონის 1961 წლის პირველობაზე გამართული ფინალური შეხვედრა ზემო ქედისა და წითელწყაროს „ვარსკვლავს“ შორის დამთავრდა „ვარსკვლავის“ გამარჯვებით — 5:1.

ე. ჯანყარაშვილი

## დედაქალაქის პირველობაზე

დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო პირველობის პირველი ტური ფრენბურთში. მასში მონაწილეობდა ფიზკულტურის კოლექტივთა 57 გუნდი, რომლებიც სიძლიერის მიხედვით 4 ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. პირველ ჯგუფში გამარჯვებულნი გამოვიდნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის კოლექტივის — „ისანის“ ფრენბურთელები (ქალთა შორის) და კოტონის წინდების ფაბრიკის სპორტსმენები (ვაჟთა შორის).

მეორე ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდათ — ქალთა შორის ავტომატიკის საშუალებათა ხელსაწყოების მშენებლობის ბიუროს ფრენბურთელებს, ხოლო ვაჟთა შორის — სტალინის სახელობის რაიონის სპორტსმენებს.

მესამე და მეოთხე ჯგუფებში შესაბამისად პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: ქალთა შორის — სტალინის სახელობის რაიონის ფრენბურთელები და მარმელადის ფაბრიკის გუნდი, ვაჟთა შორის — შუშის ქარხნისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფიზკულტურის კოლექტივის გუნდები.

ი. რუხაძე

## გაფანტული ტრადიციები

სამტრედიის საკონსერვო კომბინატის სპორტსმენებს გასულ წლებში საკმაო წარმატებები ჰქონდათ. კომბინატში პოპულარობით სარგებლობდა ფიზკულტურა და სპორტი, ეწყობოდა შიდა-საკომბინატო შეჯიბრებები, ჩამოყალიბებული იყო სექციები ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. საწარმოს ჰქონდა კარგად მოწყობილი ბაზები, სექციების მუშაობას საზოგადოებრივი დატვირთვის წესით ხელმძღვანელობდნენ კომბინატის მუშა-მოსამსახურეები.

ამ დროისათვის სამტრედიის ნაკრებ გუნდებშიც ხშირად შედიოდნენ ხსენებული კომბინატის სპორტსმენები. მათ შორის იყო ძალოსანი გ. სიხარულიძე, ფეხბურთელი ჟ. გეგეშიძე, სამტრედიის რაიონის 1960 წლის პრიზიორი ჭადრაკში ა. მაჩიტიძე.

კომბინატში ფიზკულტურის ინსტრუქტორად დანიშნეს ა. ჯელია, რომელმაც მუშაობა ენერგიულად დაიწყო. სამწუხაროდ, მცირე ხნის შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა. გამართლდა ანდაზა „ახალი ცოცხის“ შესახებ. და აი, შედეგებიც: 1960 და 1961 წლების საქალაქო შეჯიბრებაში ამ ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო სპორტული ბაზები მოუვლელობის გამო უვარგისი გახდა შეჯიბრების ჩატარებისათვის.

მუშა სპორტსმენები ხშირად თხოვდნენ ქარხნის დირექტორს ქ. ხუჭუას, რათა დახმარება გაეწია მათთვის დაზიანებული სპორტული ბაზების წესრიგში მოყვანის საქმეში, მაგრამ დირექტორი ამ თხოვნას ყურად არ იღებდა.

ასეთმა უგულისყურობამ, დაუდევრობამ, ფიზკულტურისა და სპორტის შეუფასებლობამ საბოლოოდ გააქარწყლა კარგი ტრადიციებიც და ბაზებზე დახარჯული შრომაც, კალათბურთის მოედანი მთლიანად გაპარტახებულია. მასზე უხვადაა ბალახი და ქვები. არც სიგრძეზე სახტომი ორმო გადაურჩა გაპარტახებას. იგი გამოყენებულია ნაგვის ყუთად. მინელებულია მუშაობა სექციებში, ხელი აიღეს საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებაზეც.

ფოტო და ტექსტი ლ. ფაჩუაშვილისა.





## ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ კარგს ცუდი არ ჩრდილავდეს

ყვარლის რაიონში არა ერთი კარგი სპორტსმენი აღზრდილა, რომელიც წარმატებით გამოსულა რესპუბლიკურ ასპარეზობაში და დაუცვია რაიონის სპორტული ღირსება. ამაში თავისი წვლილი უდევს ყვარლის რაიონის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას „კოლმეურნესაც“, რომელიც თავის რიგებში 3.500-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს. ეს, რა თქმა უნდა, მცირეა, რადგან ბევრი ახალგაზრდა ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული ფიზკულტურულ მუშაობაში.

„კოლმეურნის“ ყვარლის რაიონულმა საბჭომ მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამას წინათ ახალსოფელში ჩატარდა ამ სოფლისა და სოფ. აფენის კოლმეურნეთა შეჯიბრება ჭიდაობაში, ფეხბურთსა და ფრენბურთში. მაისში გაიმართა რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რაიონული პირველობა ჭადრაკში კოლმეურნეთა შორის, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებაში შესაბამისად პირველი მესამე ადგილები დაიკავეს: ბ. ჩაჩიაშვილმა, ე. გავაზაშვილმა და გ. ჭერაშვილმა. ყვარლის ფრენბურთელებმა ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხეს ახმეტის რაიონის ფრენბურთელები, ხოლო სტუმრებმა თავის მხრივ დაამარცხეს მასპინძლები ქართულ ჭიდაობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოჭიდავეთა მეორე გუნდების შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

კარგი ღონისძიება გამართა „კოლმეურნის“ რაისაბჭომ ძალოსნური სპორტის პოპულარიზაციისათვის: პირველ მაისს ყვარლის ცენტრალურ ქუჩაზე დადგეს ფიცარნაგი, რომელზეც პირადი პირველობის მოსაპოვებლად შილდის, ბალღოჯიანისა და ყვარლის 12 საუკეთესო შტანგისტი გამოვიდა. მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა ზონალური სპარტაკიადის ჩემპიონმა ქვემძიმე წონაში, ბალღოჯიანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. მოდებაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის რაიონის კოლმეურნე-ახალგაზრდობას სპორტულ მუშაობაში ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული, აქ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ფიზკულტურული მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. ახლა ჯერ კიდევ ძნელია ყვარლის რაიონის რომელიმე კოლმეურნეობის სრულფასოვანი და სპორტულ მუშაობაში მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივის გამორჩევა. ამის გაკეთება თვით „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს ზ. შეფიაშვილსაც უჭირს. სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც კოლმეურნეობაში მიდიან სამუშაოდ, თავისუფალ დროს ვერ იყენებენ სპორტული მუშაობის გასაშლელად. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ კოლმეურნეობებში ყურადღება არ ექცევა სპორტული ბაზების კეთილმოწყობას. ასე მაგალითად, ისეთ ხალხმრავალ სოფელში, როგორიც შილდაა, ერთი სტადიონიც არ არის. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელები ერთ დროს მოწინავეთა რიგებში იდგნენ, ახლა კი, აქ თითქმის არ იგრძნობა სპორტული ცხოვრების მაჯისცემა. ამ სოფლის სტადიონი, მოუვლელობის გამო საძოვრადაა გადაქცეული. უფრო მეტიც: მოედნის კართან დაყრილი ხე-ტყის მასალის ასაღებად ვერც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. არჩუაშვილს მოუფიქრებია რამე და ვერც ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს გადაუწყვეტია საკითხი: იქნებ გვიპასუხოთ ამხანაგებო, რატომ გაქვთ მიგდებული ბედის ანაბარა სტადიონი? იქნებ აჯობებდა შეშის ადგილას სპორტული წრთობის ცეცხლი დაგენთოთ?

... ჯერ კიდევ 1959 წელს ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის ინიციატივით „ბოგირის“ უბანში ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი მოაწყეს. მოედანი მწვანე ნარგავებით შემოფარგლეს და სპორტული მუშაობაც გაიშალა, მაგრამ ახალგაზრდობამ აქ მხოლოდ სამ თვეს შეძლო მეცადინეობა. სრულიად მოულოდნელად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. სამიტაშვილმა, რომელიც ადრე გარკვეულ დახმარებას უწევდა ახალგაზრდებს, სპორტული მოედნის ადგილას კინო-თეატრის აშენება გადაწყვიტა. ეს ადგილი ახლა, როგორც იტყვიან „არც მიწისაა, არც ცისა“. აქ აღარც კინო-თეატრი აშენდა და მოედნის ადგილს ქვიშა, კირი, და სხვა საშენი მასალა „ამშვენებს“....

საერთოდ საჭიროა არა მარტო ამ კოლმეურნეობებში, არამედ სხვებშიც რაიონის ფიზკულტურულმა აქტივმა მეტი ყურადღება მიაქციოს სპორტული ბაზების კეთილმოწყობას.

ჯ. ენუქიძე,
გ. ხამსონაძე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ბოგირის უბანში არსებულ ფრენბურთის მოედანზე თითქმის სამი წლის განმავლობაში ყრია სხვადასხვა საამშენებლო მასალა. პატრონი არაა? (!). მარჯვნივ — ასე გამოიყურება ახალსოფლის კოლმეურნეობის სტადიონი.

# ახალი სამეცნიერო საზოგადოება

მოსკოვში ჩატარდა პირველი საკავშირო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზიკური კულტურის საკითხებზე.

კონფერენციაზე დღის წესრიგში იდგა ოთხი საკითხი: 1. ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინე ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, 2. სპორტში ხანგრძლივად მომეცადინე სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, 3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის გავლენა საშუალო და ხანშესული ასაკის მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, 4. სამკურნალო ფიზიკური კულტურა გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებათა დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან წარდგენილი მოხსენებები კონფერენციის ოთხივე პრობლემას ეხებოდა. პირველ საკითხზე მოხსენება წაიკითხეს პროფესორმა ვ. კუნჭულიამ და ასისტენტებმა დ. წვერავამ და მ. ნაჭყებიამ, თემაზე „წვრთნის პროცესში დოზირებულ ფიზიკურ დატვირთვაზე განვითარებულ გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციასა და თვალშიდა წნევას შორის კორელაციური კავშირის საკითხისათვის".

მეორე პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოდან მოხსენებები გააკეთეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ზოიძემ— „კუნთური მუშაობის შემდეგ „დაუსრულებელი ტანის" ფენომენის მქონე სპორტსმენთა ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევების შესახებ", ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ასისტენტმა ლ. რუხაძემ—„სპორტსმენთა შორის არსებული „დაუსრულებელი ტანის" ფენომენის დიაგნოსტიკური შეფასების საკითხისათვის", ექიმმა ო. კოკაიამ—„სპორტსმენთა პერიფერიულ სისხლში მორფოლოგიურ ელემენტთა ძვრების დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შესახებ", ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ი. ფირალიშვილმა — „სპორტში ხანგრძლივად მომეცადინე პირთა შორის საადაპტაციო-დაცვითი მექანიზმის საკითხის შესწავლისათვის".

მესამე პრობლემაზე მოხსენებები წაიკითხეს ა. ბალუაშვილმა, ი. გაბაშვილმა, ც. კაკაბაძემ და ზ. თელიამ თემაზე—„ფიზიკური კულტურის გავლენა საშუალო და უფროს ასაკის პირთა ორგანიზმზე".

მეოთხე პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკიდან წარდგენილი იყო ორი მოხსენება, ავტორებმა ნ. იმედაშვილმა და კ. ბელიძემ მსმენელთ გააცნეს „სამკურნალო ფიზიკური კულტურის მეთოდით ბრონქიალური ასთმის მკურნალობის საკითხისათვის". კონფერენციაზე განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა მოხსენებამ „კომპლექსური მეთოდით ქრონიკული პერიკარდიების მკურნალობა სამკურნალო ფიზიკური კულტურის გამოყენებით". (ავტორები რ. სვანიშვილი, ო. გვანცაძე, თ. ახმეტელი, მ. ტყემალაძე, კ. არბელიძე). აღნიშნული შრომა აღსანიშნავი იყო იმით, რომ იგი ეხება გულის ისეთ დაავადებას, რომელიც მოითხოვს ქირურგიულ ჩარევას. შრომა შესრულებულია კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი კ. ერისთავი, ხოლო სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდიკა და ავადმყოფის ფუნქციური გამოკვლევის მეთოდები დამუშავდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საექიმო ფიზკულტურის კათედრაზე (გამგე პროფ. გ. მღებრიშვილი).

ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო საზოგადოების პლენუმის შემადგენლობაში შევიდნენ პროფესორები: გ. მღებრიშვილი და ვ. კუნჭულია. საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ვ. მოშკოვი.

**რ. სვანიშვილი**



**სურათზე:** თბილისის ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი ზ. თელია სამედიცინო დახმარებას უწევს ტრავმირებულ სპორტსმენს.

# ჩამორჩენა გამოსწორდა

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩამორჩებოდა, არარეგულარულად მუშაობდნენ სექციები, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების ხარისხს, შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობოდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანი და ა. შ.

ტექნიკუმის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა იმსჯელეს ნაკლოვანებათა დაძლევის გზებზე და სასწავლებელში მალე ფართოდ გაიშალა სპორტულ-მასობრივი მუშაობა.

ტექნიკუმის გუნდებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო რაიონულ სპარტაკიადაზე პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს სპორტის მთელ რიგ სახეობებში.

გაუმჯობესდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების ხარისხი. მიმდინარე სასწავლო წელს II და III თანრიგზე მომზადდა 20 მოსწავლე, ნაცვლად 10-სა, მშთ 35 ნიშნოსნის ნაცვლად — 57 და ა. შ.

ტექნიკუმში სათანადო ყურადღება მიექცა აგრეთვე სპორტული ბაზების მოწყობას. ახლა მოსწავლეთა განკარგულებაშია სპორტდარბაზი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი.

ამჟამად ტექნიკუმის სპორტსმენები ემზადებიან რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

**ს. ტალახაძე**

# წერილების კვალდაკვალ

„წყალტუბოს რაიონში სოფ. ცხუნკურის ორჯონიკიძისა და ყუმისთავის კოლმეურნეობები ერთმანეთს ესაზღვრებიან. ეს საშუალებას იძლევა ერთიანი ძალით მოეწყოს ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები. მაგრამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები თავს არ იწუხებენ" — გვწერდნენ ცხუნკურელი ახალგაზრდები.

როგორც საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს მიეცათ სათანადო დავალება სპორტული მოედნების მოწყობისა და ახალგაზრდობის ინვენტარითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის შესახებ.



# შრომა დაუფასდა

20 მაისს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში მოეწყო ამავე ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მამია ულენტის დაბადებიდან 50 და სპორტული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

სიტყვით გამოვიდა სპორტის ოსტატი დ. კაპცოვი, რომელიც ვრცლად შეეხო მ. ულენტის სპორტულ მოღვაწეობას. მან განსაკუთრებით აღნიშნა დამსახურებული სპორტსმენის მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდების მოპოვება სამჯერ და წარმატება შტანგისტთა 1946 წლის პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე. აღნიშნა ისიც, რომ იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თავის წონაში და ორჯერ რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონიც. 1951 წელს მ. ულენტს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 1953 წლიდან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა.

საღამოს მეორე განყოფილება მიეძღვნა შეჯიბრებას იუბილარის სახელობის თასზე. მართალია, მონაწილენი გამოდიოდნენ სხვადასხვა წონით კატეგორიებში, მაგრამ შეჯიბრების დებულებამ განაპირობა საინტერესო ბრძოლა. საქმე იმაშია, რომ გამარჯვებულს გამოავლენდა ორი მოძრაობის ჯამში ნაჩვენები შედეგი. სავალდებულო იყო მხოლოდ აკვრა, ხოლო მეორე მოძრაობა სრულდებოდა სპორტსმენის სურვილისამებრ. შედეგების განსაზღვრა ხდებოდა პროცენტული შეფარდებით სპორტის ოსტატის ნორმასთან.

შეჯიბრებაში ჩაებნენ სპორტის ოსტატები რ. დათიკაშვილი (მჩატე წონა), კ. ჩალათაშვილი (ქვესაშუალო წონა), დ. მუშკუდიანი (საშუალო წონა) და პირველთანრიგოსანი მ. კოჩიევი (ქვესაშუალო წონა). დათიკაშვილმა ატაცისა და აკვრის ჯამში დააგროვა 190,4 პროცენტი. ჩალათაშვილის შედეგი უკეთესი აღმოჩნდა. მან შეძლო აჭიმვასა და აკვრაში 196,6 პროცენტის დაგროვება. სპორტის ოსტატმა დ. მუშკუდიანმა ატაცში დააგროვა 100 პროცენტი, მაგრამ აკვრაში შეფასების გარეშე დარჩა.

წარმატებით გამოვიდა პირველთანრიგოსანი გ. კოჩიევი, რომელმაც ორივე მოძრაობაში ოსტატის ნორმას მიაღწია და საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა.

**სურათზე:** მ. ულენტი (მარჯვნივ) სამახსოვრო თასს გადასცემს ძალოსან მ. კოჩიევს.

# ხორცმეტი მოკვეთილია

დილის 10 საათია. თერჯოლის კინო-თეატრის წინ უამრავ ხალხს მოუყრია თავი, ისმის მწყრალი შეძახილები — უსაქმურებს და მკვლელებს ჩვენში ადგილი არა აქვს.

მკითხველს ალბათ გაუკვირდება ერთი უჩვეულო სცენა კინო-თეატრის წინ. ამ დღეს აქ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, რათა საყოველთაო ზიზღი გამოეხატათ იმის მიმართ, ვინც უდანაშაულოდ მოუღო ბოლო რაიონის მოწინავე ადამიანს, თერჯოლის რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს კ. გიგაშვილს.

პროცესი დაიწყო. თავმჯდომარე კითხულობს საბრალმდებლო დასკვნას. მკვლელს შ. არაბიძეს თავი დაუხრია და სდუმს. მის თვალწინ ცოცხლდება მკვლელობის საზარელი სურათი...

1960 წლის 5 ნოემბერია. შ. არაბიძემ დილასვე გაუარა კარის მეზობელსა და მასსავით უსაქმურს გ. დათუაშვილს და ჩხარში გაემგზავრნენ დასაფლავებაზე.

—ქელეხიდან ორი ძმადნაფიცი მეგობარი ისევ თერჯოლაში ბრუნდებოდა. ნაქელეხარნი ძლივს იდგნენ ფეხზე, მაგრამ ღვინის სმა ა. მაკარიძის ოჯახში მაინც გააგრძელეს.

ღამის 10 საათი იქნებოდა. თერჯოლის ცენტრში ავტობუსის გაჩერებასთან კ. გიგაშვილი მანქანას ელოდებოდა. იგი სოფელ ჩხარში აპირებდა წასვლას. გზაზე შ. არაბიძე და მისი ძმაკაცი უწმაწური გინებით იკლებდნენ ყველაფერს.

ამ დროს შემხვედრმა საბარგო მანქანამ გამოიარა. მძღოლმა, როგორც კი თვალი მოკრა კ. გიგაშვილს, მანქანა გაუჩერა და შესთავაზა ჩაჯდომა.

— [illegible] ჩვენი მეზობლები არიან, წავიყვანოთ, — თხოვა მძღოლს კ. გიგაშვილმა.

მანქანა სოფელ ჩხარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კანტორას მიუახლოვდა.

— შენ, ეი, ლაწირაკო, გააჩერე მანქანა, მოვედით! — გასძახა მძღოლს შ. არაბიძემ. მანქანისა და ქარის ხმაურში მძღოლმა ვერ გაიგონა შ. არაბიძის ხმა.

როცა მანქანა გაჩერდა, შ. არაბიძე თვალის დახამხამებაში გადმოხტა, მძღოლს ყელში წაუჭირა ხელი და თან უშვერი სიტყვებით გალანძღა. კ. გიგაშვილი დასაშველებლად მივარდა შ. არაბიძეს. ამ დროს მოხდა საზარელი რამ. შ. არაბიძემ მძღოლს ხელი უშვა, ჯიბიდან იძრო ხანჯლისებური დანა და გულში ჩასცა კ. გიგაშვილს.

მკვლელი მიიმალა, მაგრამ მართლმსაჯულებამ მიაგნო მას და სასჯელის უმაღლესი ზომა —დახვრეტა მიუსაჯა.

განაჩენი შ. არაბიძის მიმართ მოყვანილია სისრულეში.

**ზ. მესხიშვილი**

ლელო

მე-3 გვ. № 65 (1701)

## სპორტი ქალაქებსა და რაიონებში

### გ ო რ ი

გორის ბდგილობრივი მრეწველობის კომბინატში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ფიზკულტურასა და სპორტს, მიმდინარე წელს კი ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდა კომბინატის დირექცია. დირექტორის დ. თავზარაშვილის, სისტემატური მზრუნველობის შედეგად გამოცოცხლდა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის მუშაობა.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის თებერვლის დამდეგიდან დაინერგა საწარმოო ტანვარჯიშიც, რომელსაც ხელმძღვანელობს „სპარტაკის“ ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. ზეჟანიშვილი.

**ი. თევდორაშვილი**

✦

### ოჩამჩირე

რკინიგზის საშუალო სკოლაში თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა მოჭადრაკეთა და მაგიდის ჩოგბურთის პირველობა. ჭადრაკში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ბ. უდალოვმა, მეორე ადგილზე გავიდა ა. ძიძიგური, ხოლო მესამეზე — ვ. ხაბურზანია. გოგონებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა დ. დონგაძე. მეორე ადგილზე გავიდა ნ. მუქერია, ხოლო მესამეზე — ე. შარია.

მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში ჩემპიონი გახდა დ. კემულარია, მეორე იყო ვ. გადელია, ხოლო მესამე — გ. სანოძე. გოგონებს შორის ჩემპიონობა დაისაკუთრა ნ. მუქერიამ.

**ვ. დოხნაძე**

✦

### სტალინირი

სტალინირში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება შაშში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავის, სტალინირის, ფოთისა და გორის გუნდები, (თვითეულ გუნდში გამოდიოდა სამი ვაჟი და ორი ქალი).

ფინალში გავიდნენ თბილისის, ქუთაისისა და სტალინირის გუნდები. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და სტალინირის მოთამაშეები. შეხვედრა დამთავრდა ყაიმით (2,5:2,5). სტალინირის ქუთაისის მატჩში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა — 3:2.

ამრიგად, პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა — 5,5 ქულა. მეორე ადგილზეა თბილისის გუნდი—5 ქულა, მესამეზე—სტალინირელები — 4,5 ქულა.

მეორე ჯგუფის გუნდებიდან გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

**ვ. მელქოევი**

## პიანტონი და კუბალა არგენტინაში

როგორც არგენტინის ცნობილი კლუბის „რივერ პლატას“ პრეზიდენტმა ლიბერტიმ განუცხადა ჟურნალისტებს, მომავალი სეზონიდან მის კლუბში ითამაშებს „ბარსელონასი“ და ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ლ. კუბალა. „ბარსელონას“ დიდი ვალები აქვს, რის გამოც იძულებული გახდა გამოთხოვებოდა თავის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელს.

ლიბერტის ევროპაში მოგზაურობის მეორე შედეგი იყო განთქმული ფრანგი ფორვარდის რ. პიანტონის („რეიმსი“) გადაბირება „რივერ პლატაში“. ასეთი საგანგებო ღონისძიებებით ცდილობს ლიბერტი თავისი ოდესღაც ძლიერი გუნდის აღდგენას.

## „ბოტაფოგო“ ჩამოდის ევროპაში

„ბანგუსა“ (რიო-დე-ჟანეირო) და „გრემიოს“ (რიო-გრანდე) შემდეგ ევროპაში დაიწყება ბრაზილიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „ბოტაფოგოს“ გასტროლები. რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატს საუკეთესო გუნდი პოლონურ გაზეთ „სპორტის“ ცნობით, 14 ივნისიდან ითამაშებს ვარშავასა და ხოჟუვში, რის შემდეგ სხვა ქვეყნებში გაემგზავრება

როგორც ცნობილია, „ბოტაფოგოს“ შემადგენლობაში თამაშობენ დიდი, ნ. სანტოსი, გარინჩა, სამივენი რჩებიან ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში. ნ. სანტოსი ასაკის მიუხედავად ჩილში თამაშის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება, იგივე ითქმის გარინჩაზე, თუმცა იგი ამჟამად შორსაა შვედურ ფორმიდან. რაც შეეხება დიდის, „რეალიდან“ დაბრუნების შემდეგ მან მიიღო მოწვევა არგენტინის „ბოკა ჟიუნიორესიდან“, რომელსაც ამჟამად ვ. ფეოლა წვრთნის, მაგრამ მან გადაწყვიტა სამშობლოში დარჩენა. ერთხანს დიდი ისევე უფერულად თამაშობდა, როგორც „რეალში“ და აღარც ნაკრებში იყო, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში მისი საბრძოლო ფორმა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თავის კლუბში შესანიშნავ თამაშთან ერთად დიდიმ მონაწილეობა მიიღო ბრაზილიისა და ჩილის გუნდების ტრადიციულ მატჩებში და გაიტანა გოლი. ორივე მატჩი მცირე უპირატესობით მოიგეს ბრაზილიელებმა — 2:1 და 1:0.

## საერთაშორისო ტურნირი ვარშავაში

გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის“ 40 წლისთავთან დაკავშირებით ვარშავაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც პოლონეთის გუნდებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის ნაკრებმა და საფრანგეთის ექს-ჩემპიონმა „რეიმსმა“ შეჯიბრების დებულების თანახმად უცხოური გუნდები ეთამაშებოდნენ მხოლოდ პოლონეთის კოლექტივებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდების მატჩმა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე მატჩი ბულგარეთის ნაკრებმა ჩაატარა პოლონეთის „ლეგიასთან“; დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 2:1.

„რეიმსისა“ და „ლეგიას“ მატჩში ფრანგებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა „რეიმსი“ თამაშობდა კოლონას, ფონტენისა და ვენსანის გარეშე. ვირტუოზულად ითამაშა კოპამ, რომლის ზუსტი მოწოდებიდან ბადენმა, პიანტონიმ და სიაღკამ გაიტანეს 3 ბურთი. „ლეგიამ“ შეძლო მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა.

„რეიმსმა“ დაამარცხა აგრეთვე „ვისლა“ (4:2) და დაიკავა პირველი ადგილი.



## ფეხბურთის ახალი ამბები

### ქრონიკა

შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ესპანეთის ნაკრები მადრიდში შეხვდა უელსის გუნდს.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ვინაიდან ამ გუნდების პირველი მატჩი მოიგეს ესპანელებმა — 2:1, ისინი ფინალში გასასვლელად შეხვდებიან განა-მაროკოს შორის გამარჯვებულ გუნდს.

* * *

მეორე შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე შედგა შვეიცარიისა და ბელგიის გუნდებს შორის. შვეიცარიის ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს პირველი მატჩი ანგარიშით 4:2, გამარჯვებას მიაღწიეს ამჯერადაც — 2:1.

ლისაბონში მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

ბრაზილიის უძლიერესი გუნდი „სანტოსი“ ამჟამად იმყოფება ევროპაში, სადაც ატარებს საერთაშორისო შეხვედრებს.

„სანტოსი“ არის პელეს გუნდი, მაგრამ პელე ტრავმირებულია და არ ჩამოჰყვა მას. ამჟამად „სანტოსის“ შემადგენლობაში არიან ისეთი განთქმული ფეხბურთელები, როგორიცაა კუტინიო, პეპე, ზიტო და სხვანი.

ამას წინათ „სანტოსი“ თამაშობდა ქ. გენტში (ბელგია) თბილისელთათვის ცნობილ „ლა განტუაზთან“. ბელგიელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1

## „ტოტენჰემის“ კაპიტნის განცხადება

გამოჩენილმა ფეხბურთელმა დანი ბლენჩფლაუერმა, რომელიც ინგლისის ჩემპიონ „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და ჩრ. ირლანდიის ეროვნული ნაკრების კაპიტანია, ამას წინათ განაცხადა, რომ მეტს აღარ ითამაშებს: „მას შემდეგ, რაც ჩემმა გუნდმა „დუბლი“ გააკეთა, თამამად შეიძლება ფეხბურთისათვის თავის დანებება“.

დ. ბლენჩფლაუერი ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა ინგლისის ფეხბურთში. მან საუცხოოდ ჩაატარა მსოფლიოს VI ჩემპიონატი,

ინგლისელ მიმომხილველთა ცნობით „ტოტენჰემის“ კაპიტანი განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა მიმდინარე წლის თასის გათამაშების ფინალში, რომელიც მისი უკანასკნელი მატჩი იყო,



ამ სურათზე, რომელიც გადმობეჭდილია ჩეხურ ჟურნალ „სტადიონიდან“ აღბეჭდილია მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის (მოიგო უნგრეთმა — 3:0).

## „ბენფიკა“ თუ „ბარსელონა“

31 მაისს „წმინდა იაკობის“ სტადიონზე შედგება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობენ „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია). თუ ესპანელთა მონაწილეობა ფინალში არ იყო მოულოდნელი, „ბენფიკას“ წარმატება ჭეშმარიტად სენსაციურია. ერთი წლის წინათ ამ გუნდს ევროპაში არავინ იცნობდა, ახლა კი იგი ფინალისტია.

„ბენფიკამ“ და „ბარსელონამ“ ფინალამდე სხვადასხვაგვარი გზა განვლეს. პორტუგალიელებმა ყველასათვის მოულოდნელად მეოთხედფინალის პირველ მატჩში გამანადგურებელი დამარცხება მიაყენეს უნგრეთის ჩემპიონს „დოჟას“ (6:2) და საპასუხო მატჩის წაგებას ბუდაპეშტში (1:2) უკვე აღარა ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა. „ბენფიკას“ მომდევნო მეტოქე იყო ავსტრიის ჩემპიონი „რაპიდი“. პორტუგალელთა მწვრთნელმა ბ. გუტმანმა გადაჭრით განაცხადა, რომ „რაპიდი“ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მისი გუნდისათვის! მართლაც, ლისაბონში წაგების შემდეგ (0:3) „რაპიდმა“ ძლივს მიაღწია ფრეს საკუთარ მოედანზე (1:1) და „ბენფიკა“ ფინალში გავიდა.

„ბენფიკაში“ არ არის არც ერთი გადაბირებული „ვარსკვლავი“. ბ. გუტმანი სამიოდე წლის წინათ სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც გულდასმით ამზადებდა. იგი გადაჭრით ეწინააღმდეგება იმ „მეთოდს“, რომელსაც „რეალისა“ და „ბარსელონას“ ხელმძღვანელები იყენებენ. მისი სიტყვით, ეს მწვრთნელები ხელთ იგდებენ ხოლმე პირველხარისხოვან „ვარსკვლავებს“ სხვა გუნდებიდან, ხოლო თვითონ თავს არ იწუხებენ დამწყებ ფეხბურთელებთან მუშაობით.

გაცილებით ძნელი გზა განვლო ფინალამდე „ბარსელონამ“. ჯერ იყო და ინგლისელი მსაჯების შემწეობით მან გათამაშებიდან გამოიყვანა „რეალი“. ნახევარფინალში „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ პირველ მატჩში, რომელიც ბარსელონაში გაიმართა, მასპინძლებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ და თამაშის ბედი გადაწყვიტა მათმა ერთადერთმა ბურთმა. კიდევ უფრო მწვავედ მიმდინარეობდა საპასუხო მატჩი ჰამბურგში. როცა თამაშის დამთავრებას აკლდა ერთი წუთი, ანგარიში იყო 2:0 „ჰამბურგის“ სასარგებლოდ. ამ ერთ წუთში „ბარსელონამ“ გაიტანა საპასუხო ბურთი და მესამე მატჩის უფლება მოიპოვა.

„ბარსელონამ“ სასწორზე დადო ყველაფერი, ვინაიდან დამარცხების შემთხვევაში იგი არა მარტო წელს კარგავდა ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლის უფლებას, არამედ მომავალ წელსაც. ვინაიდან წელს ესპანეთის ჩემპიონი „რეალია“; ესპანელებმა შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს კიდეც.

„ბარსელონა“ თამაშობს მაღალტექნიკურად და კომბინაციურად, იერიშებში მონაწილეობას ღებულობენ მცველებიც კი, გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარე რამალეტსი; მცველები — ფანჩო, გენსანა, გრასია; ნახევარმცველები — ვერხესი და სეგარა (ან გარაი); თავდასხმაში მწვრთნელი სხვადასხვა კომბინაციას ადგენს 8 ფორვარდისაგან. ესენი არიან ტეხადა, კუბალა, კოჩიში, ევარისტო, სუარესი, ციბორი, ვილაველდე და ზუკო.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05544